



# თეატრი და ცხოვრება



საბჭოთაო სალიტერატურო-ქორნალი

კვირა 14 თებერვალი  
№ 7—1916

ფასი  
10 კ.

წელიწადი  
მ ე ო თ ხ ე

მიიღება ხელის მოება 1916 წ. შურ.  
"თეატრი და ცხოვრება"  
(წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-2 გვ.)



შიო შლიგელი  
საშუალო მოღვაწეობის 30 წლის თავის  
დანიშნავად დღეს, 14 თებერვალს, სსსა-  
ზინო თეატრში დღესსწავლის გადხდის  
კამო.



უკვე იბეჭდება  
ვეფლასთავის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# რუსო სიძუბათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორელ შეესებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული), წიგნი ახსნა-განმარტებულია სამოც ათასამდე (80000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსს სექტამდე, მოზრდილი ზომისა, აწყობილი იქნება ხალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, წამული ინგლისურ საუკეთესო კლენკორს ცდაში, მოოქოვილ-მოგარაკებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნილ ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შედეგათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენი—წიგნი ამოსვლის ეაშს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან 50 კა).

ხელის მოწერა მიიღება: ეურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“ ს სტამბაში. ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ იოს. იმედაშვილი.

## 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათმზებანი უურნალი იშვოტინისტული განყოფილებით, შარყებით და კარიკატურებით

წალიწადი  
მართა

### „თეატრი და ცხოვრება“

წალიწადი გამოსამისა მართა

წალიწად  
5 მან.  
5ან. წლ.  
3 მან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

უურნალი პარტიათა გარეშე, პროგრესიული მიმართულებისა უურნალი სურათმზებ სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილიადც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათათვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დღით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—იოს. იმედაშვილი.

ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანა იმედაშვილისა



№ 7

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიმდინარეობს „სორაპანს“ის სტამბაში. მისამართი: Тиф-ლის, Ред. Театри да Цховреба“ I, Име-დაშვილი.

წელიწადი 8 მ. ი. თ. ხ.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდებ-ბა.—ხელთნაწერები საპრობებისმებრ შეს-წარმდება.—რედაქტორთან პირისპირ მი-ლაპარაკება შეიძლება „სორაპანს“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 7

კ ბ ი რ ა , 14 თ ა ბ ე რ ვ ა ლ ი

1916 წ.

14 თ ა ბ ე რ ვ ა ლ ი

მორიგი მ.წინავე წერილი „მძიმე ხარ-კი“ ამ ნომერში ვერ იბეჭდება.

სცენა და მისი დამახინჯება

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობა-ში ჩვენი მწერლობა წინ წავიდა. გაჩნდნენ სხვა და სხვა დარგის მწერლები ეს სასიამო-ვნო მოვლენაა, მაგრამ ყველაფერს კარგს, დროებით მაინც, თან სდევს ცუდიც. იუმო-რისტიკულ აღმანახებსა და ჟურნალებში სზი-რად იბეჭდება სცენები სოფლის ცხოვრები-დან. ამ სცენების უმეტესობას აწერია „გუ-რული სცენა“. ვინ არ იცის, რომ ყველა სცენაში მოკლედ და სხარტად უნდა იხატე-ბოდეს ნამდვილი ცხოვრება. სცენის დამ-წერი და სცენიდან სცენის წამკითხველი მარტო იმას კი არ უნდა ცდილობდეს, წამ-კითხველი ან მსმენელი გააცინოს — გაართოს. მან ამისათვის სცენაში არასოდეს არ უნდა იხმაროს უმართებულო, უწმაწური სიტყვა, მეტადრე უნდა ცდილობდეს სოფლისა და მისი ქირ-ვარამ-ლხინიდან სინამდვილე ამო-გლიჯოს, შიგ არაერთი სიყალბე, ზედ მე-ტი არაფერი გაურიოს.

სამწუხაროდ ჩვენებური სცენების დამ-წერ-წამკითხველთა დიდი უმეტესობა ყოველ-თვის აჭარბებს. ისინი ცდილობენ სცენაში ისეთი სიტყვები იხმარონ, რომლითაც გამო-იწვევენ ორ აზროვნ სიცილს. სცენების

უმეტესობა ცხოვრების სინამდვილიდან, მისი დედა გულიდან არ არის ამოგლეჯილი. ამ მხრივ ყველაზე მეტ წამებას განიცდის ე. წ. გურული სცენა. ახლანდელ გურულ სცენებ-ში არც გურული ახლანდელი კილოკავია და-ცული და არც გურიის მცხოვრებთა ცხოვ-რებაა გამოხატული. წავიდა ის დრო, როცა გურულები სხაპასუხით და განსხვავებული კილოკავით ლაპარაკობდნენ. თანამედროვე გუ-რული ქალი და კაცი ლაპარაკობს ლიტერა-ტურული ენით, თუ შეიძლება სალიტერა-ტურო ენა უწოდოთ იმ ენას, რა ენითაც დღევანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მწერლები გვიწერენ. გურული სცენის ავტო-რები იმას ანგარიშს არ უწვივენ, ისინი დრო-მოქმედ სიტყვებს ხმარობენ და იმასაც საშინ-ლად ამახინჯებენ...

ბეჭდვითი სიტყვის მსახურთ მეტი სიფრ-ხილე ჰპართებთ, რომ განგებ დამახინჯებით არაფერი დაბეჭდონ, რათა მომავალი მკლფ-ვარ-მეცნიერი, თუ იგი ასეთ კილოკავების შესწავლაზე დაამყარებს თავის აზრს, არ შე-ცდეს და ყალბი დასკვნა არ გამოიტანოს.

აპ. წ—ძე

ობობლი მომდერალი

შიო მღვიმელი \*)

აზიან ვაღმანება, რომლებიც ქვეყნის სიყ-ვარულს, თანამოქმეთა სამსახურის რწმუნანს მუ-

\*) ცნობები ამოღებულია „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“-დან (ხენაწერიდან).

1905





ბუღალტრების, უსრუნველობას, ქეიფ-  
ღისნებით გაზრობას, მიუღწევადობას, სხვისი ნა-  
შრომით ცხოვრებას უკუბრუნებს და შრომისაკენ მო-  
წოდებს:

„შო, ჩემთან ოფლი დაღვარე,  
ლუკმა შექამე შრომითა!“-ო.  
აგონებს, რომ ღრთება შეიძლება, ძვე-  
ლად თუ:

...„მტრის მოსაგერებლად  
მხოლოდ ფარხმალი დგებოდა,  
დღეს სულ სხვა არის: ცხოვრება  
ითხოვს სხვა ძალს და ღონესა...  
ღრო ჩარხი არის, უფრო კი  
ჭავჭავს გახურებულ თონესა:  
თუ პური ღროზე დაკარ,  
მაშინ ნამცხვარი შენია,  
თუ არა — მასაც წააგრომენ,  
თუ რამე გადავარჩენია.“-ო.

შოა კერძო წოდებობისზე უფრო ზეგით  
მიდის და მამულსაც შემდგომს. მან იცის, რომ  
ჩვენს სამშობლოს

„ათავს გრგვენივით ეღვრა-ქუხილიმი  
ათასჯერ გადაუარა...  
ყველამ უმტყუნა, უმუხთლა,  
ვინც სამშობლად დავიხარა!“

და კავკასიის ფრთხილ კედლებზე მჭაჭყულს  
უორნები ნიკარტ-ბეჭეალებით სისხლში უხე-  
რთან ამაყ გულს, „მაინც არ ჰკარგავს იმედსა“  
და სწამს, რომ მისმა სამშობლომ „გაძლტბა  
იცის ქირისა!“ თუმცე დღეს ბებერ მუხსაყვით  
განმარტოებით სდგას, ტოტებს ჩამომტვრეული,  
„ყლორტები იბარტყვენ, დაიზრდებიან, ქალა-  
ტყედ გარშემო დაედებიან და კვლავ აჭყვავ-  
დებამ სიციცხლე მის შორის ეღმურადა!“

შოის შესქედულობით, თუ ადამიანი თავისი  
ქვეყნის, საზოგადოებისა და ხალხის სასარგებ-  
ლოდ არ მუშაობს, იგი

„სოცხალი მკვდარი, ბილწი და უმეცარი!“  
გბეი უნდა შეუდრეკელი იუოს, უოკელი სი-  
დუხუბრის მხნედ ამტანი, მარად უამს მოძმე-  
საკეთილდღეოდ მსრუნველი, მამულის მოყვარუ-  
ლი, წინმწიფელი, და

„ვიი მის, ვისაც ალიბრებს  
სიციცხლით წუთისოფელი  
იღორც ღედა სწამს, არც მამა,

არც მიწა-წყალი მშობელი,  
დაღის და დაეხირება,  
გვარტომის უარ-მყოფელი,  
მზეც კი მის ზიზლით უყურებს,  
მზე — ქვეყნის მანათობელი.“

შოა ჭხედავს, რომ ხალხი სწამს სისხლის  
ლუკმას, ცხოვრებას მადლიანად არ არის მო-  
მართული! უნდა მოიხმოს ეს უსამართლობა კრუ-  
ლი, დაიარტა უკვლავს კეთილი, რომ „ქვეყანა  
წალმა ბრუნავდის“.

განა ქვეყნის წალმა ასაბრუნებლად ს-  
კიროს მოქმედება..

მას სძაგს უმოქმედო, უმაქნისი და ქვეყ-  
ნის უსარტებლო ადამიანები. სოლო ვინც ქვეყ-  
ნისა და ხალხის წინაშე თავისი ვალი მოიხადა,  
იგი მკვდარტა შორის არ ჩათვლება, სკირტელი  
არ არის, არამედ

„სოცხალი უნდა ვიტროთ,  
ვინც ჩვენთვის დღესვე მკვდარი!..“  
ასეთია ერთის თავღის გადაკლებით შოა  
მღვიმელის უმოქმედება, მისი მწერლობის დღეს  
არის. ეს კი იმად დღის, რომ კრამ მადლობა  
გადაუხადოს. მამ გაყვარტელოთ შოის უმოქმე-  
დების ნაყოფი,

„რომ მის ბიზინით სტებობდღეს  
თვით უსულდემლოთ სალობი!“\*)

იოსებ არიმათიელი



\*) ჩვენს საბავშვო მწიბ მწერლობაში თითქმის  
პირველად შოის ნაწერტობი გამოიცა ცალკე წიგნაკებად,  
განსვენებულ გრ. ტატოშელის (1859—1011) მიერ  
დასურათებული. ეს წიგნაკება: „სკარი“, თბ. 1891 წ.  
„სამი ცელქი“, თბ. 1891 წ., „ტუნწი“, თბ. 1891  
წ., „ოკროს თავთავი“, თბ. 1892 წ., „ნატრა“ და  
სხ. მისი ნაწერტების სრული კრებულის გამოცემა ქუ-  
თათურ ერთ გამოცემელს აქვს განზრახული. შოა  
მღვიმელისა და, საერთოდ ჩვენს, მწერლობის დღესას-  
წაულის გვარტვინი იქნებოდა, რომ მისი ნაწერტები  
ორ წიგნად მაინც (საბავშვო და მოზრდილთათვის)—  
ჩქარა გამოეცათ.  
ი—თიელი



პორტრ. იოსებ (სოსო) ნაცვლიშვილი  
ოსმალეთის შტაბოფიცერი მოკლული 29 ქრისტეშობის-  
თვეს 1915 წ.

# ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

(გურაის ცსოფრებთან)

(დასურათბატეული ლ. გუღიაშვილის მიერ)

დასავლეთისკენ გადახრილი ივლისის მცხუნვარე მზე, უკანაიდან მოფარებოდა ლამაზ ეზოში მომადლოდ წამოდგმულ პატარა ფიცროლს ოღას, რომლის ჩრდილში ორი პაწია, ნახევრად ტიტეული და-ძმა, გულა და გოგი თამაშობდნენ, ხოლო მათი ახალგაზდა დედა პისტი კი სახლის აივნიდან სტკებოდა შვილების ცქერით.

— ვაი, თქვენს დედას, შვილებო, თქვენ უღარდელად თამაშობთ, მეც თქვენი ცქერით ესტკები და თქვენი საბრალო მამა კი, ვინ იცის, ეხლა რა გასაქირშია, რას ურჩენია ერთ თქვენი ნახვა! — ფიქრობდა პისტი: ვაი თუ დაქრილია ბრძოლის ველზე, შველას თხოულობს და მშველელი არავინ არის... თვეზე მეტია წერილი არ მიმიღია... უთუოთ კი ამბავი არ არის ჩემს თავზე, — გაიფიქრა მან და ცისფერი თვალები ცრემლებით ავესო. — ოხ... რა ვქნა მე უბედურმა?... — მიიმედ ამოიხობა და ზეზე წამოდგა სახლში შესასვლელად. სწორედ ამ დროს ეზოს ქიშკრიდან ნაცნობი ხმა მოესმა:

— გულოო!.. გოგოი!.. ბავშვებმა ქიშკრისკენ მიიხედეს.

— დედა! მამა!.. — წამოიძახა გახარებულმა გულმ და ახალმოსულისაკენ გაქანდა...

— მამა... მუა... პუბუ... — ბავშვები გაბოუდნენ მას გოგი, მარა ჩქარა წაიქცა და ტირილი მორთო. ერთი წამი კიდევ და ჯარის კაცი ვანო შრომისაშვილი გულში იკრავდა დიდხინის უნახავ საყვარელ ცოლშვილს.

ვანოს მშობლებმაც, გრიგოლ და მართამაც, მალე გაიგეს შვილის მოსვლა და მეტის მეტი სიხარულისაგან ტირილი მორთეს.

— გმადლობ შენ დემერთო... თუ გნახავდი, აღარ მეგონა, შვილო... იცრემლებოდა გრიგოლ.

— ფონი გასაყვას დაელოცათ, მამა ჩემო, ძალდატანებული ღიმილით სთქვა ვანომ.

— როგა, კიდევ უნდა წახვიდე, შვილო? — თვალებს წმენდით იკითხა მართა და საშვივე ვანოს მიაჩერდა.

— აბა ჯერ რა გავაკეთეთ... ომი ეხლა იწყება... — მიუგო ვანომ.

— ვაი ჩვენს დღეს... — თითქმის სამივემ ერთად წამოიძახეს.

— შვილო, რეზა ღუპავენ ამ ხალხს, თუ იცი?.. რა ამბავია აგი... რას მივესწარი... სთქვა გრიგოლმა.

— საწყალო ქიშკარდის ბიჭს რეზა ვერ მიეხმარენ ღობტურებმა, აი საცოდავობა რომ დატრიალდა და თელი სოფელი დაცოლდელით? — ჰკითხა შვილს მართამ.

— როგორ, ყაისარე მოკლეს? — იკითხა წყენით ვანომ.

— მოკლეს კარა, დაუწვავენ, შვილო... ხოლიარე დამართია და დაუწვავენ... შეიტყო აი საწყალომა მისმა ახალ მოყვანილმა ცოლმა, ჩავარდა ქაში და თავი დაიარჩო... ქე დე-ალუბა ასე ორი მოსახლე კაცი. მის მეტი არც ქიშკარდაის ყავს რამე და არც ქალის დედამამას. იგენის ცოდვამ ააღუდა თელი სოფელი.. დღეის სტორის დამარხეს. — სთქვა მართამ.

— საწყალო!.. რა ბიჭი დაღუპულა!.. ჯერ სადაა, თქვენ რომ იცოდეთ იქ რა ამბები... მარა დავანებოთ მაგაზე ლაპარაკს თავი... შინაური ამბები მითხარეთ, ნათესავებში ხომ არავინ მომკლარა?.. ჩემი მტრელები ჩემს შემდეგ გაზდილან... მამაჩემს წვერი უფრო გასთერთებია... დედა, ჯერ ყოჩაღოთა...



ეაღერსებოდა ვანო ხან ერას ხან მეორეს.  
 — ეხ, ნეტავი სულ არ ჩამოვსულიყავი...  
 მარო ველარ მოვითმინე... ხვალვე უნდა წა-  
 ვიდეთ... ერთ კვირას მაინც შეგემძლოს დარ-  
 ჩნა.

— როგორ ხვალ?—ელდა ეცა პისტის.  
 —ხვალ მამა?—წყენით იკითხა გულომიაც,  
 რომელიც ამ დროს მამას მუხლზე ეჯდა.

— ხვალ, შვილო, ხვალ.—წყენით გაიმე-  
 ორა ვანომ და გულოს შუბლზე აკოცა. პის-  
 ტი კი აცრემლებული წავიდა სახლში საქმე-  
 ლის დასამზადებლად.

(გაგრძელება იქნება)

**ს. რემონდი**

**ბ. ახოსიკიკალი და მიისი სიმეარ**

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 6)

„ისინინე ყრმაო, გწამდეს, გჯეროდეს, არარა-  
 ობა არის ყოველი,  
 „არარად ქმნილა ქვეშ დღეამიწა, და ზევით  
 ზეცა სხივთა-მთოველი“.

ასე სასაგეს აღამაინს, და ფოველეგარ დირე-  
 ბულებს მოკვლებულად აღარებს მას ფილოსოფი-  
 იის თვალთსაზრისთა.

„თუნდა იტოცხლის კაცობრიობამ  
 „რისთვის იტოცხლოს? საღ, ვის რა არგოს“?..

და კატეგორიულად გადაჭრილ ზსუსეს იძ-  
 ლევა?— არა. ბ. ახოსიკიკალმა კითხვების დასმა  
 იცის. და ხშირად იქ, სადაც ახოსიკიკალი წავის  
 ფილოსოფიურ კითხვებს, იქ იგი მხატვრულად  
 განუშუბულია, იქ ის გაურბის რაიმე გვარ მტკი-  
 ნებას. მან იცის მხოლოდ ის სფინქსისებურ გა-  
 უგებანო კითხვა „რისთვის“, რომელიც მას მო-  
 უკვნიებს ან აძლევს. ეს ის კითხვაა, რომლის  
 წინადაც აღამაინის აზრი იეილება, ეს ის კითხვაა,  
 რომელიც აბრუნებს ისტორიას კაცობრიობის აზ-  
 რიგებისას, ეს ის კითხვაა, რომელიც, ვიშო-  
 რებ, შექმნა მთელი ფილოსოფიური სისტემები,  
 ურყოფა ცხოვრების, ან მიღება სამყაროის. უკ-  
 ვირდება ახოსიკიკალი სხვა და სხვა მოკლეანთ,  
 მაგ. სიუფარულს, რომელიც ღერძია კაცობრიო-  
 ბის ცხოვრების (სხვაში მაქვს სქესობრივი სი-  
 უფარული), იმ სიუფარულს, რომელმაც თავისი ზე-  
 ბუნებრივი ძალით შექმნა მშვენიერი ჟიოკო-  
 და, დუმრთ-ქმნილი ბეატრიქე, ტურფა გენება,



**ღარო რჩეულოვი**

25 წ. სცენაზე მუშაობის შესრულების გამო 16 თებ.  
 ავლბარ-პალასის თეატრში სცენის მოყვარენი წარმო-  
 დგენას უმართავენ.

ელდინთ ძლიერი და ნახ სულის გამომხატვე-  
 ლი; წმიდა გრძობის წმიდა ჩქერში განბანილი  
 და ხტ-ქმნილი ნესტანი და სხ. მრავალნი? მა-  
 გრამ აბა უური დაუგდით ახოსიკიკალს, თუ რას  
 იახხის იგი ამ გრძობაზე, რომელიც უმაღლეს  
 საფეხურზე დაეყენა კაცობრიობამ:  
 „...სიყვარულს სახავთ უმაღლეს განძიდ  
 „რდთის ხატად აგყვით უმნიკარობა,  
 „მეგრამ არა არის თვით სიყვარული,  
 „თუ არა ოდენ ამაოება?...“

აი ის მთელი ფილოსოფიური მსოფლ-მსე-  
 დველობა ბ. ახოსიკიკალისა, რომელიც აღამაინ-  
 და აქვს ჩამოსხმული დრამატულ ზოგის „მშვე-  
 ნება და სიყვარული“. მაგრამ ბეკლარ ახოს-  
 იკიკალი ფილოსოფიურ ტრანქატს კი არ გვაძ-  
 ლევს თავის შემოქმედებაში, არა. და არც შეუ-  
 ძლია, რადგან ის პოეტია. მხოლოდ განიერებუ-  
 ლად მას მღერას ან შეუძლიან. და რომ უმდე-  
 რის კიდევ ახოსიკიკალს, თუ შესძლებს განუ-  
 ნებელ სვანთა ტრფივად-სიმღერას, მაშინ ხომ ის  
 სწვევტს კავშირს ცხოვრებისთან, უოველდოე-  
 რობისთან. მაშინ ხომ მისი შემოქმედება უსარ-  
 გებლო ახოსიკიკალად გარდაიქმნება? და ხომ ადარც  
 მკოსანი იქნება, მკოსანი საღხის შეილი? ბ.  
 ახოსიკიკალი კი აქ, ცხოვრებისთან მაგრად არის  
 მიჯაჭვული. ის დეიძლი შეილია იმ დროის,  
 რომელსაც მოხვდა თავის შეილით გულიდანვე  
 ამოხეთქილი ქარ-ტხილი, და რომელიც კააკაყა  
 და საომრად გაამზადა თავისი შეილები. ბ. ახოს-  
 იკიკალიც ასეთი პოეტია. დრუმბელთ არეუ-ღარე-  
 ვის დროს წარმოიშვა იგი, და იწყო მზადება იმ

ნიდერლანდების, რომელიც წაღებულა ქვეყნიურ ბოროტებას, და მოამზადებდა ცხოვრებას განსხვავებულს ბრწყინვალე გარემოების შესახებ. ის მაგრად არის განწყობილი იმავე მებრძოლთა შორის, რომლებიც ახლახანს თავისი რწმუნის აღმას, რომელზედაც უწერია: „მე ხალხთა უფლებების მდროზე ვარ ცეცხლში“. გზებუღოლია“, სტუმს ბუკის და ნადარას ხალხის გამოთხოვნილებად, აკურს-აწირალებს ქანას და დამღერის უნრემოდ ბრძოლის წინაგებს. შეიძლება შეითხველმა სთქვას: ახსოვნივლი ცხოვრებას არ იღებს, ის უარ-გუთნს ეყვალს და უფელს და ესაა კი ხალხის უფლებების მდროზედაც გამოდის ცხოვრების განსაზღვრებებსადაც, სასუფაველებად. მაგრამ აქ ახსოვნივლი ბარათაშვილივით სწრის საკითხს:

„მაგრამ რადგანაც კაცი ვართ და შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსლიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

და ბარათაშვილისაგან დაიძახა:

„რად სიკოცხლე, თუ უმნიშვნელოდ გვითა პეველა, იფრენს, გაჰქრებაო“.

ამით მან ხალხი საშეშველოთ გამოაწვია, ის ხალხი, რომელსაც „გულს უღადრავს სევდი, კირი, ცხარე ტრემლებს აფრქვევინებს ტანჯვა, კენესა, ვასაქირი“. დაიდა, ესა სურს ახსოვნივლის, და აკი მიმართავს კიდევ თავის მუხას, რომ როდესაც გაისმის ხმა გულშესახარის ქარ-ტყვიადის, როდესაც ცის კამარასზე არეულ დრუბელთ შორის გამოხნდნენ თბილი ვარსკვლავნი, რომელნიც ვაით ამატენ გზას საჯოჯოხეთოს, „მაშინ მეწვიე ზე-შთაგონებავ, სევდიან სახით გამოიმეცხადეო“. ეს კი იმისთვის რომ, მას სურს „მისი საბარო ჩანგისა ძლერა“, როგორც ის იძახის:

„მსურს გულს უპობდეს ქეას, კლდეს და ღრესა, მინდა ცხოვრებას წილში ჩავწვდე, რომ ჩემს მღერაში ისმოდეს კენესა“-ო.

სურს გული გაუმოს თავისი უნრემოდ სიმღერით ქვას, კლდესა და ღრესა, ე. ი. თვით უსულო საგანნიც კი სურს აამეტყველოს და აგომიანოს არსებულბა როგორც მახინჯი რამ. ეს კი იმისთვის, რომ მას ეს ცხოვრება გახრება, არ იღებს მას, ვერ ეგუება, და ან როგორ

შეუბრძეს, როდესაც თვით ცხოვრება მას ხელსაჰკრავს. ის ხომ სიმ ქვედა არ გადაქცევა, რომ იღვას უძრავად, უხმოდ. მას აქვს თავისი აზრტანობა, იგი შესაიღუმელა ჩავრულთ ნაწილის, იგი მდროშეა ხალხის, მდროშე ცეცხლში ტანჯულები, და როგორც ასეთს, სურს „გაცამტეროდეს რაც ძველია, დახავებული“. სურს უგულმა დატრიალებულ ცხოვრების ჩანს წაღმა უბრუნოს ბიძი, რადგან იგი უგულმართი აღმოჩნდა: არისხევა ჩემს თავს, მე სოფელი უკუღმართი არ მეგონა-აო.

მაგრამ, დაინახა რომ „ვაგლობია სიკვდილი და სიკოცხლეცა“, მოისურვა შებრძოლებოდა ამ ცხოვრებას სივარჯისეც, და ამისთვის მომართა მან ბრძოლის ისარი. ის მიმართა ჩაერულს, რომელიც უფელთვის შირტუქუქულად სცხოვრობს სხვისთვის და არადეს განიღდას შეგასას და სახარულს, და ჭკითხა: „რადღა ხარ ვაჩენილიო“? და უჩნია: „მითიფქრე რაებებს სხადი, სულ მთის ძირას რას დაკოცავ. დაჰკა ფეხი, მალო აღიო“. ბ. ახსოვნივლი სედავს, რომ იარა ხალხის მტანჯავი და აუტანელია, მწვავე და ძლიერა. ამისთვის ის მის დროებით გუჟუნებას სდელიობს. სურს დროებით მიამიანოს სიმწვავე იარის, და ამისთვის უმღერს ნანას, რომ ტანჯულმა ამ ნანის ნახ მელოდებში აქარვოს სიმძაფრე უფელდდოურბობისა, სიმწარე ცხოვრებისა, და აკი უმღერის:

„შენც დაიძინე, მე გეტყვი ნანას, შენც დაიძინე, დახუკე თვალია-ო.

და განაგრძობს:

„ტკბილი იქნება ჩემი ნანინა, ვით ტკბილი არის ძუძუ დედისა, მწარე იქნება ჩემი ნანინა, ვითა ღერცოფა მალოლ ქედისა“-ო.

(დასასრული იქნება)

გახ. კობეტიშვილი

## ხელოვნების მოკლე ისტორია

(გაზრძელები. იბ. თ. და ც. № 5)

რა სარგებლობა მოაქვს ხელოვნების ისტორიას? ხელოვნების ისტორია აღსავსაა სხვადასხვა სკოლათა საკამათო დღადღისით და დავა-ბაქტორ-





ბით. იდეალისტები და რეალისტები, ძველი და ახალი ხელთახანნი, კლასიკოსები და რომანტიკოსები და სხვ. უკვლავ ესენი ერთი მეთრეს უფრო ხშირად გასწავლებულ თეორიებს უდგებიან. ამისათვის თუ გნებავთ, რომ წარსულ დროის ხელთახანსე სწორი შესხედულება გქონდეთ, ანდ ერთ ამ ბანაკს ან უნდა მიემხროთ. უკვლავს შეუძლიან მოწონებაცა და დაწინაურებაც. ეს ბირადი კემოვნების საქმეა, მაგრამ ერთი ნაწარმოების მოწონებამ მთავრად არ უნდა დავათრუნივინოთ და მით უმეტეს გზა არ უნდა გავიმრუდოთ მის შესასწავლად. მხოლოდ მიუდგომლობით შეგიძლიანთ აამაღლოთ და გაიფართოვოთ თქვენი მხატვრული შეტნება. ამ გვარი ეკლექტიზმი სრულიად არ უკარგავს ადამიანს თავის თავადობას. საქმე ის არის უფროდ კომოდეს კაცს, შეტნებული ჭქოდეს და არა ის, რომ უფრედვე მოაწონოს და ადტარებაში მოვიდეს.

თუ ასე გავიგებთ ხელთახანის ისტორიას, მისინ ის მართლად სასარგებლო იქმნება ჩვენთვის და ნაყოფის მთვეიტანს. მხატვრისთვის მისი ცოდნა მიუცილებელია, რადგან იგი კაცობის წარსულს, რაც უფრედ, მხოლოდ ამ ცოდნობაში მხატვარი არ უნდა გახდეს მომამძველი, არამედ უნდა შეინახოს და უფრედ გამოიჭლოს თავის თავადობა. მიუცილებელია მისი შესწავლა აგრეთვე ისტორიკოსისთვის და საზოგადოთ უკვლავ განვითარებულ ადამიანებისთვის, რომელ-

თაც კი სურთ საზოგადოთ შეისწავლონ კატობრიობის უფრად-ცხოვრება, რადგან ხელთახანსე ერთი უმთავრესი და უკეთესობილესი სხვა ადამიანის მოდგაწობისა.

**ნაწილი პირველი.**

უძველესი ეპოქა.

უძველეს კლასიკურ ეპოქაში თავის ხელთახანებით სახელი გათქვეს იმ უროვნებათ, რომელნიც ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე მოსახლეობდნენ. ესენი იყვნენ—ეგვიპტელები, ფინიციელები, ბერძნები, ეტრუსები, რომელები და ასურები. ასურები მართლად ხმელთა შუა ზღვაზე მოშობებით ცხოვრებდნენ, მაგრამ ერთ დროს მთელს მდინე აზიაზე დიდი გავლენა ჭქონდათ მომავლად. ხმელთა შუა ზღვა კი მისთვის იყო ცენტრალ მამინდელ განთავლებულ უროვნებათა, რომ იგი იყო მათი ბუნებრივი გზა. ამ გზის საშუალებით ვითარდებოდა ერთი მეთრის დამოკიდებულება, იმევე გზის მეოხებით კადობდნენ სხვა შორეულ ქვეყნებში, იარსებდნენ ახალ-შენებს და შექონდათ მათი კანონები, ზნე-ჩვეულება, მრწამსი და ხელთახანსე. ამიტომაც უძველეს, კლასიკურ ეპოქის ისტორია ხელთახანსე ერთ ნაწილში უნდა იყოს მოთავსებული.


**შალვა დადიანი**

(გავრძელება იქნება)

**ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი**

**ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე**

მსურს ძიებით დავწვა სული, ხან უარგყო, ხანა მწამდე  
 ხან გმზერდე, და ხან გეტებდე  
 ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე...  
 ხან, ვით მოგვმა, წარუთქვა გზებით—  
 ლოცვა წმინდა—სილამაზე,  
 ხან გიმღერო სიმღერები დაწერილი მზის გამამაზე.  
 უხილავო...  
 მე ვერ ჩავწვი, სულსა მსწყურის მარად სწამდე,  
 ის დავებებს საღვთო სიტყვით  
 ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე!..



შალვა დადიანი, ბენეფისი 20 თებ. ქუთ.

გ. დეონიძე

ს ი მ ლ ე რ ა

დასძახეთ ლხენის სიმღერა, რაც დიდხანს აღარ გვსმენია!..  
 ამ ქირსაც კიდევ გაუძლოთ,—სხვაც ბევრი მოგვიტყვინია...  
 სამშობლოს განსაცდელის ჟამს შეიღებზე მგლოვიარება  
 გულს ნუ გაუტეხთ (კრემლებით, ნუ აგრძნობინებთ მწარესა...  
 გმირსა ხომ ჰპირთებს მაგრობა, ქირის დროს მოიღბინოსა,  
 გულსა დაკრული იარა მოთმენით მოირჩინოსა?!  
 რაღა არს იგი გმირობა, თუ ძნელსა შეუშინდება,  
 ღუ თვალს მომღგარი კრემლები დაწვებზე შეუყინდება?!  
 ლხენა!.. სიმღერა, გმირებო!.. გული ნუ გაგიტეხიათ;  
 კენესა, მოთქმა და გოდება უღროვოდ აგიტეხიათ!..  
 დეე სქენებოდეს კოკორი... ისმოდეს ბოლობუღთ გოდება,  
 შენ ნუ შედრკები—გმირი ხარ,—გუ... დაგეკოდება!..  
 მაშუ გამავგონეთ სიმღერა, რაც დიდხანს აღარ გვსმენია:  
 მრწამს; გამარჯვებაც დაპრება, ვის ბევრი მოუთმენია!..

მ. ჭრელაშვილი

ჩ ი თ ი



მგოსანი ს. აბაშელი

ქაობის ციებითა ავად, ფილტვიც და-  
 ხიანებული აქვს, მესამე კვირაა ლოგინ-  
 ში წევს (ერთ პატარა პაწა მოხუთულ  
 ოთახში). ჰკურნავენ ექ. ი. გომართელი  
 და გვარჯილაძე, საჭიროა აბასთუმანს  
 წავიდეს, თუ სახსარი მოიპოვა და ლო-  
 გინიდან ადგა როგორმე.

ღია ფანჯრიდან შემოფრინდა ბაწია ჩიტი,  
 თვალზე-ციმციმა, მოხდენილი, ლამაზი ცქვიტი;  
 თვისი ნისკარტი მოყვითალო იატაკს დაჰკრა,  
 ჰპოვა მარცვალი, მოტრიალდა და მსწრაფლვე გაჰკრა.  
 ვერც კი მოვასწარ, მეთქვა ღისთვის: „შესდგე, პატარავ!  
 მოწყენილი ვარ, ხომ კი მხელავ, მიმღერე რამე,—  
 ბედმა გამწირა, კაცთა ენამ დაშასამარა,  
 ქიკქით მაინც მანუგეშე, ერთი ხმა გამე!..“  
 მას შემდეგ ხშირად ღიის ვტოვებ ჩემსა ფანჯარას,  
 მსურს კვლავ შევხედო ჩემსა ნაცნობს ფრინველს პატარას,  
 ვეღო... არ მოღის... არც ის ვიცი, სადა აქვს ბინა;  
 კვლავ ჰფერენს, თუ ტყის პირს სამუდამოდ მან ჩაიძინა!..

საფო მგელაძე

ბ რ ი ვ მ ტ ი

ბექას სამს მოქ. და ოთხ სურათად  
 (გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 6)

VIII

გიორგი და ილია ლუქიჩი.

გიორ. ილია ლუქიჩ, გესმით ეს რა ამ-  
 ბავია ჩემს თავს!

ილ. ლუქ. რა ამბავია, ბატონო გიორ-  
 გი, გამაგებინეთ გეთაყვა!

გიორ. ვაფცივის გარდა, ბოიკოტიც ვა-  
 მოუცხადებიათ, გესმით ბოიკოტიც განუზრ-  
 ხავთ სიმშლით მოჰკლან და მით შაიძულონ,

დავაჰყოფილო, მაგრამ არასოდეს! მე ჩემს  
 სიტყვას ისე დავიცავ, როგორც მოქალაქე,  
 და მაგათ კი ვაგსრეს, როგორც ქიას.

ილ. ლუქ. ნუ თუ მაგდენი გაბედდეს მაგ  
 უგუნურებმა მაგათ, მაგრამ მე არა მჯერა.  
 აბა, თქვენ, ოქროს მეფეს, ვინ რას გაგიბე-  
 დავთ, ვინ?

IX

ივანიჭე და სონა.

გიორ. სონა, წარმოიდგინე ჩვენ მუშებს  
 ბოიკოტიც გამოუცხადებიათ ჩვენთვის და მათი  
 მუქარით დღეს ჩვენი მზარეულისთვის საწო-  
 ვავე არ მიუყენიანთ ვაქრებს!

**სონა.** მერე მაგისთვის გულს რათ იშფოთებ, ჩემო კარგო! შეატყობინე პოლიციას და იმათ იციან მათი წამალი.

**ილ. ლუკ.** ქეშმარიტი ბრძანებაა. პოლიცია და მათი ჯანი, ისინი წაუკითხავენ მათ მამაჩვენებს.

**გიორ.** (გაბრაზებული) არა, როგორ გამოხედეს, როგორ!

**ილ. ლუკ.** განა ცოტა თავხედი ხალხია!

**სონა.** თავხედები არიან და მათვე მოხვდებით, თორემ ჩვენ რა. ზურგს რომ გაუხურებენ მითრახით და ციხეში ჩააღებენ, მაშინ ვაიგებენ, თუ რა ძალა აქვს გიორგი დიპადეს. გიორგი, პოლიციას შევეტყობინოთ, რომ ზომები მიიღოს, თორემ დღეს იმ სტუმართან შევრცხვებით.

**გიორ.** არაფერსაც არ შევატყობინებ, დეე, მოვიდეს ის პატივცემული სტუმარი და თავისი თვალთა ნახოს, თუ რა თავხედობა და საზიზღრობა ხდება მის რაიონში...

## X

### ივანიფე და ბესარიონი.

**გიორ.** (ბესარიონს) სადა ხარ აქამდის! როდის მე დაგიძახე და ეხლა მოდიხარ! თუ შენც ბოიკოტს მიცხადებ. ხომ არ გინდა, ციხიბირს გადაგაცილო.

**ბესარ.** რეიზა მიწყრებით, ბატონო, მე რა დამიშავებია! ეს იყო ახლა მითხრა პავლიამ ხაზინი გიძახისო და მეც ვიახელით.

**სონა.** ბესარიონ სადილის საქმე როგორაა დღეს?

**ბესარ.** ძალიან გლახათ, ქალბატონო! ხორცი არაფერ მომყიდა, პური და ღვინო. რავე წავა ჩვენი საქმე არ ვიცი.

**გიორ.** მერე ვინ გაბედა, მითხარი, ვინ თავხედობს ასე?

**სონა.** როგორ ჩვენი ფული არ ფულობს, თუ რატომ არ მოგყიდეს.

**ბესარ.** ფული კი არა, ბატონო, ათასი მანეთი რომ მისცე ერთ კონა პეტრუშკას არ მოგყიდიან. დილას რომ გვეიარე ბაზარში ყელამდის შევეტყურდი პარკლამაციაში. მთელი ბაზარი მოფენილია. მეპურესთან მივედი—არ მომყიდა. ერთი ფინჩხა ზიარებისთვის რომ გინდოდეს ვერ მოგცემო. მეთევზესთან მივე-

დი და კეკალი ფული მიმეტიქვა, მისთანა ზღუთი ჰქონდა გაქრილი, რომე ნერწყვის ყლაპამ დამახრჩო კაცი. უთხარი მომიტერი თქვა, მარა გარეთ გამომისტუმრა. მითხრა: "თუ ძმა ხარ, მომიცილი, ჩემ ღუქანში არ დაგინახონ, თვარა შარს გადამიტევენო". მისთანა ქირიანები ყიდულობდენ იმოქროსავით ზღუთს, რომ კამის შწო არც კი აქვთ. ვიძლიერე "ღვირილი", მარა მაინც არ ქნა იმ წყევულში. (ნერწყვის ყლაპით) მწა, რომ გამოხსენდება ის ზღუთი. რა იყო, რა იყო, ხაზინი! კამის შწო ვისა აქვს და ვინ ყიდულობს!

**ილია.** როგორ შეუძლიან, რომ მეღუქნემ საქონელი არ გაყიდოს, ეს მეორეთ მოსვლა სწორედ!

**გიორ.** (გაბრაზებული) ახ, ის ავაზაკები, ისინი!

**სონა.** გიორგი, უთხარი გუბერნატორს და ისეთ ადგილს გადაჰკარგავს იმათ, რომ თავის დღეში აქაური ჰაერი ვეღარ იხილონ.

**ბესარ.** დღეს კი უსადილოთ ვრჩებით, ქალბატონო, და მერე რა იქნება არ ვიცი. იმ ყასაბმა ხომ თელათ გადაპირა კაცი. რაფა, ჩვენ ჯინაზე დაუტლავს კარგი საქონელი თუ რა ჯანაბაა! როგორც ყვითელი ქარვი ისე ღუის ხორცი. ტყვილა არ დამასუნია ზედ, ისტე გამომაგლო გარეთ. მაინც, ბატონო, საცხა შევედი ყველას შეგშინდა ჩემი, თითქოს რაცხა უჯმაჯური მოვლანდო, ისტე გაღირინე ყველა. დედა იმ ყასაბს მაინც რა სუკი ქინდა. აი, ხორცი მესმის, მარა ჩვენ რა.

**გიორ.** კარგია, ნუ გააგრძელებ ენა (ზარას სმა ისმის) ვინ ეშმაკი რეკს იმ ზარს, სად აგლია პავლია! რატომ ზარს არ უყურებს, თუ ისიც გამეფია! (ბესარიონს) წადი სამზარეულოში, არსად წახვიდე, რომ დაგიძახო, მაშინვე მოდი, გესმის?

**ბესარ.** კი, ბატონო, გეახლებით.

**სონა.** ბესარიონ, "ნაპასი" არაფერი გვაქვს მორჩენილი, რომ დღეს სადილოთ გვეყოს? ერთი კაცი გვეყილება სტუმარი მეტი კი არა.

**ბესარ.** არაფერი არ ვახლოვებ, ქალბატონო, თუ გნებავთ სახლიდან ჩამოტანილი

ლობიო მაქვს და ჩაღობილი ქარხალი, თუ მიბძანებ შევადგამ ლობიოს.

**სონა.** არა, აბა ლობიო რა ჩემი საქმე!

**ბენარ.** (მიდის და კარებში) კეთერა ფხალიცა მაქვს, თუ გნებავთ, გავაკეთებ ნივ-ზით.

**გიორ.** (გაბრაზებულა) ვასწი აქედან, ნუ ყბედობ. (ბესარიონი გადის) ბრიყვი, მოჰყუც და აღარ გაათავა. ლობიო ჩადებული, ქარხალი, კეთერა მხალი, სულელი!

**ილია.** ბატონო გიორგი, მევან მე მგონია კეთილი გულით შეგთავაზოთ და თქვენ კი უჯავრდებით.

**სონა.** მეც ასე მგონია.

**გიორ.** (იღვას) ეხ.. ჩემო ილიკო, სონამ რომ თქვას ებარებება, რომ ამ რაზობინიკ სოცილისტებს ვერ იცნობს და მივირს თქვენ როგორ სტყუდებით. იმ საციმბიროებს თავიანთი ქსელები ყველგან გაბმული აქვთ. მე ვიცი ყველა ჩემი მოსამსახურე უკვე ღარიგებული ჰყავთ. ვერა ჰხედავთ უბრალო ქია, ვილც მზარეული, რა ამხავში იყო, როგორი ირონით ლაპარაკობდა. (ისმის კუდი-სებში ჰაფაას ხმა: მობრძანდით ბატონო, მზა-ფაღტე, ზუფლიტე. კანს გაუდებს, შემოდის მზახის უფროსი)

## XI

იგინივე და ვასილ ივანიჩი

**ვასილ ივანიჩი** (ძაღვან მსიორულად) აა, გამარჯვებათ, გამარჯვებათ! Софія Николаевна, мое нижайшее почтение! ბატონ გიორგის ვახლავარ. აა, ილია ლუკინი, გამარჯვებათ, გამარჯვებათ. (ფეფლას ხელს ართმევს) Ну съ, господа, какъ Ваше драгоценнѣйшее здорovie! Софія Николаевна, თქვენ, როგორღაც მოწყენილობა გეტყობათ. Что съ Вамъ, господа, въ чемъ дѣло? ბატონო, გიორგი, დანებეთ მე ფულგებზე ფიქრს თავი და გარწმუნებთ меньше заботъ у Васъ будетъ и гораздо спокойнѣе будете чувствовать себя.

**გიორ.** (საყვედურით) სადაც თქვენისთანა აღმინისტრაციის წარმომადგენელი იქნება, იქ, რასაკვირველია, მზიარულად იქნება კაცი. (ვასილ ივანიჩი კანცეფურდება)

**სონა.** ეხ. . ვასილ ივანიჩ, ფულგებზე გინდ ვიფიქროთ გინდ არა. ჩვენი ფული აღარ ფულობს.

**ილია.** (სიცილით) ყალბი ფულგების მოქრა შესწავის ბატონს გიორგის და მის ფულს აღარ ღებულობენ.

**ვას. ივ.** Господа, Вы меня съ ума сведете. Я Васъ не понимаю. Въ чемъ дѣло, объясните ради Христа.

**გიორ.** (გაჭაგრებული ვასილ ივანიჩს) სულ თქვენი ბრალია ყველაფერი. სირცხვილი თქვენთვის! ისე თავაშეგებული გყავთ ხალხი, რომ ვილც ყსახი და მეპურეც კი ჰბედავს ჩემთან კანდიერებას. (შედას ოთახში სწრაფად)

**ვას. ივ.** Прямо не понимаю я Васъ! ნუ მტანჯავთ, ბატონებო, მითხარით რაშია საქმე?

**სონა.** ვასილ ივანიჩ! შევიდეთ გიორგის ოთახში და იქ დაწვრილებით გაიმობთ ყველაფერს და, გეთაყვა, ეცადეთ, იქნებ როგორმე გიორგი დაამშვიდოთ. (იღია ლუკინს) მობრძანდით თქვენც, ბატონო ილიკო!

**ვას. ივან.** წავიდეთ, ბატონო, წავიდეთ, ერთი ჩქარა გამაგებინეთ რაშია საქმე! (ფეფლანი გადის. შეორე მხრით გამოჩნდება ზაქაია, იღია ლუკინი ჩამოდაგება)

## XII

პავლია და ილია ლუკინი.

**ილია.** ოო, პავლია სწორედ შენ მინდოლი.

**პავ.** რაშია, ბატონო, საქმე.

**ილია.** ზოიწი აქეთ, უნდა გითხრა რამე.

**პავ.** ბძანე, ბატონო, აქანაც გვეიგონებ, ყრუ კი არა ვარ!

**ილია.** შენ ერთ საქმეს ვერ იზამ?

**პავ.** რას, ბატონო?

**ილია.** ხომ ხედავ როგორ არის საქმე. შენ ყოჩალი ბიჭი ხარ და ყველაფერს მოახერხებ. შენ უარს არავინ გეტყვის. წადი მზარში და ისე ივაჭრე, მითომ შენთვის გინდა. მოიტანე დღეს სადილისთვის „პრაივიზია“ და შენი დასაჩუქრება მე მკითხე.

**პავ.** აჰ, მაგი რავა შემიძლიან! მამა ჩემი არ ყოფილა შვიონი და მოღალატე და ბაბუა ჩემი. თავი მოსაკლავი კი არა მაქვს. სამსახურს



დავტოვებ, წავალ აქიდან და მაგას კი არ ვიზამ.

**ილია.** არა, შენ კი ნუ იყვირებ, შე კაცი კაცო, ჩუმათ წადი და ჩუმათ მოდი.

**მავ.** რავე მამბრიყვებთ, ბატონო! ბაღანა კი არა ვარ. მამა ჩემს ხმელა ქადის და ლობიეს მეტი თვალთი არაფერი უნახავს. მე რომ ბიჭინე ზუთხი და სუკის წვადებში ვიყიდლო, ბოგშიც კი მიხვდებოდა, რომ ჩემთვის არ მენდომილებოდა. არა, მაგას ვერ ვიზამ. მბრეგს ვინცხა და გადამაკორტიალებს. თქვე დალოცვილო, ჩემი ცოდვა რათ გინდათ.

**ილია.** სხვა და სხვა აღკვასი იყიდდე წვრილ-წვრილად და ვერაფერს გაგიგებენ.

**მავ.** არა, ბატონო, არა. პრასი კი არ ვარ, რომ თავი წამკრა და მეორეთ ამოვიყარო. (გვერდზე) აჰა, მე ბიჭინე თავს მივკლავ და კესას შენ დაგტივებ. მანამდის არ აღგაშენი გვერდები! (გამოაღის ფასილ იფანჩი ძაღვიან ადგილებზე და ტყაფოანს ეტყება)

XIII

**ივანივე ვასილ ივანიჩი, ხონა და გიორგი.**

